ხანძარ საწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები

მოქმედების ტაქტიკა ხანძრის დროს

- ხანძრისას აუცილებელია იმოქმედოთ სწრაფად. საკუთარითავის საფრთხეში ჩაუგდებლად დაეხმარეთ ყველას, დატოვონ შენობა და დახურეთ კარები თქვენს უკან;
- მიაქციეთ ყურადღება საევაკუაციო გეგმას დასახანძრო გასასვლელების აღმნიშვნელ სიმბოლოებს;
- ნებისმიერი ტელეფონიდან დარეკეთ ნომერზე 112 და აცნობეთ ხანძრის კერის მისამართი.
- ნუ ეცდებით ხანძართან ბრძოლას, სანამ გამოიძახებდეთ სახანძრო სამსახურს;
- დახურულ სივრცეშიხანძრის არსებობისას ჰაერში ჟანგბადის რაოდენობა შემცირებულია და შესაძლოა არსებობდეს მომწამლავი აირები. არასოდეს არ შეხვიდეთ გაკვამლულ შენობაში. თუ თქვენ გიწევთ კვამლიან იოთახის გადაკვეთა, დაიხარეთ, რადგან ჰაერი ყველაზე სუფთა იატაკთანაა;
- თუ გიწევთ დაზარალებულის გამოყვანა კვამლით სავსე შენობიდან, სადაც ხანძარი არაა (მაგ. გარაჟიდან), პირველ რიგში ფართდ გააღეთ კარები გასანიავებლად;
- თუცეცხლიტანსაცმელსმოეკიდა, უნდაურჩიოთდაზარალებულს, არირბინოს, რადგან ყოველგვარი მოძრაობა და დაბერვა აძლიერებს ცეცხლს. ასეთ შემთხვევაში დაზარალებული უნდ ადააწვინოთ ძირს და გადააფაროთ მძიმე არა აალებადი ქსოვილი, მაგ. საბანი. არ აგორაოთ დაზარალებული მიწაზე. ეს გამოიწვევს დამწვრობის გავრცელებას სხეულის დაუზიანებელ ნაწილებზე. თუ ცეცხლი თქვენს ტანსაცმელს მოეკიდა და მშველელი არავინაა, შემოიხვიეთ ტანზე შესაფერისი ქსოვილი და დაწექით ძირს;
- ელექტრო ტრავმის დროს არ მიუახლოვდეთ დაზარალებულს მანამ, სანამ ოფიციალურად არ მიიღებთ შეტყობინებას, რომდენი გამორთულია დენის წყაროდან.
- არ მიუახლოვდეთ დაზარალებულს 18 მეტრზე ახლოს, თუ ელექტრო ტრავმა გამოწვეულია **მაღალი ძაბვის** დენით. სასწრაფოდ გამოიძახეთ გადაუდებელი დახმარების სამსახური;
- შენობაში დენით დაზიანებისას გამორთეთ დამცველები. არ შეეხოთ დაზარალებულის სხეულს. თუ გამომრთველი თქვენთვის მიუწვდომელია, ჩაიცვით რეზინის ხელთათმანები,
- დადექით მშრალ მაიზოლირებელ საგანზე, მაგ. ხის ფიცარზე და ეცადეთ ხის ან პლასტმასის საგნით განაცალკევოთ დაზარალებული სსხეული დენის წყაროსაგან. გააგრილეთ დამწვარი უბნები დიდი რაოდენობით ცივი წყლით. გამოიძახეთ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სამსახური.